ხელშეკრულება სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10 04 02/31/316 10 06

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 13 დეკემბერი 2010 წელი ერთის მხრივ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, მდებარე: ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. №2 (შემდგომში „შემსყიდველი"), რაიონის გამგებლის – დავით ავალიანის სახით

და მეორეს მხრივ შპს „ლიკო", ს/კ 406035589, მდებარე: ქ. თბილისი, ვარკეთილი IIIა მ/რ-ნი. კორპ. №335, ბ.169 (შემდგომში „მიმწოდებელი"). დირექტორის – ზაზა ხაჩიძის სახით შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

„შემსყიდველმა" გამოაცხადა ტენდერი „ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების თუნუქის სახურავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების" სახელმწიფო შესყიდვაზე, სადაც გაიმარჯვა „მიმწოდებელის" მიერ წარმოდგენილმა სატენდერო წინადადებამ, ღირებულებით – 18811,79 (თვრამეტიათას რვაასთერთმეტი ლარი 79 თეთრი) ლარი (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი"). აქედან: ორგანიზაციული კოდით 10 04 02 – 6591,79 ლარი, ორგანიზაციული კოდით 10 06 – 12220,0 ლარი.

წინამდებარე ხელშეკრულება აღასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
   ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
   ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები, გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა;
   გ) სამუშაოების შესრულების ვადები;
   დ) ტექნიკური პირობები;
   ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
   ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები
   ზ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს. ხელშეკრულება ძალაშია 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

„შემსყიდველი"

დავით ავალიანი

„მიმწოდებელი"

ზაზა ხაჩიძე

88

სატენდერო წინადადება

თარიღი: 8. 12. 2010

ვის: ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობას, მდებარე: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. №2
ვისგან: შ.პ.ს. „ლიკო" ვარკეთილი 3 IIIა მიკრორაიონი კორპ. 335 ბინა 169

შევისწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია ყველა დანართის ჩათვლით 5, თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ ქ. თბილისში ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების თუნუქის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: **18 811.79** (თერამეტიათასრვაასთერთმეტი ლარი. 79 თეთრი) ლარად.

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დაიწყოთ სამუშაოს შესრულება ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ არაუგვიანეს 2010 წლის 30 დეკემბერისა.

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენი სატენდერო წინადადება უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიით შემდეგ თანხაზე: 200 (ორასი) ლარი

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება საბანკო გარანტია შემდეგ თანხაზე: 400 (ოთხასი) ლარი.

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაშია 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, დაწყებული შემდეგი თარიღიდან: 2010 წლის 8 დეკემბრიდან.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონსა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ" დებულებას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1. ინფორმაციის ფორმა უკანასკნელ წლებში შესრულებული ანალოგიური სამუშაოს თაობაზე (დანართი 1, 1 გვერდი);
2. ინფორმაციის ფორმა პრეტენდენტის საგარანტიო ვალდებულებების თაობაზე (დანართი 2, 1 გვერდი).
3. ინფორმაციის ფორმა ანგარიშსწორების პირობების თაობაზე (დანართი 3, 1 გვერდი).
4. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (დანართი 4, 1გვერდი).
5. ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. (დანართი 5, 1 გვერდი).

(ხელმოწერა)

LIKO

დირექტორი
(თანამდებობა)

შ.პ.ს. „ლიკო"
(პრეტენდენტის დასახელება)

ტექ. პირობის დანართი №1
ლოტი №1

480 კვ. მ. დაზიანებული სახურავის აღდგენის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

ლარი

№	სამუშაოს დასახელება	განზ.ერთ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	სახურავის ავარიული ნაწილის დემონტაჟი, დემონტირებული მასალისა და სამშენებლო ნაგავის ჩამოზიდვა სხვენიდან	$მ^2$	480			2,5	1200			1200
2	ხის კარკასის შეკეთება (დგარების, კოჭების, სტრაფილების და ლარტყების ნაწილობრივი გამოცვლა) მასალის სახურავზე ატანით	$მ^3$	7,2	150	1080	3	21,6			1101,6
3	სახურავის მოწყობა ლითონის მოთუთიებული თუნუქით	$მ^2$	480			12,5	6000			6000
	ლითონის მოთუთიებული თუნუქი K-1.25 (სისქით 0,50 მმ)	$მ^2$	600	9,5	5700					5700
4	საწვიმარი ძაბრების დასამზადებლად ლითონის მოთუთიებული თუნუქის დამუშავება, მოწყობა.	ც	7	10	70	5	35			105
5	საწრეტი მილების დამზადება და მონტაჟი (მოთუთიებული თუნუქი)	გრძ.მ.	80	2	160	1	80			240
	მუხლი დ-100 მმ	ც	8	2	16					16
	სამაგრი ელემენტები (Г-ებრი, Т-ებრი)	ც	80	1,5	120					120
7	სამშენებლო ნაგვის დატვირთვა და გატანა ა/თვითმცლელით	$მ^3$	21,6			10	216	5	108	324
	ჯამი:									14806,60
	გაუთვალისწინებელი ხარჯები : 5%									740,33
	ჯამი:									15546,93
	ზედნადები ხარჯები : 10%									1554,69
	ჯამი:									17101,62
	გეგმიური დაგროვება : 10%									1710,16
	ჯამი:									18811,79

LIKO
406035589
LIKO LTD

63

სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ №10 04 02/31/316
10 06
ხელშეკრულებით გათვალისწინებული
სამუშაოების შესრულების ვადები

- სამუშაოები უნდა შესრულდეს ეტაპობრივად, „შემსყიდველის“ მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2010 წლის 30 დეკემბერი (ჩათვლით).

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

საგარეო ურთიერთობა

ზაზა ხახიძე

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10 04 02/31/316 10 06 ხელშეკრულების ტექნიკური პირობები

სამუშაოები უნდა შესრულდეს „მიმწოდებლის" მიერ ტენდერში წარმოდგენილი შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალისა და სახარჯთაღრიცხვო ფორმის შესაბამისად.

1. სამუშაოთა შემადგენლობა

სახელშეკრულებო ობიექტის მოკლე ტექნიკური აღწერილობა: ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების თუნუქის სახურავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც შესრულებული უნდა იყვეს თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებითა და სტანდარტების დაცვით. ამ ასთან, სარემონტო სამუშაოებში გამოყენებული თუნუქის ფურცელის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 50 სმ.

„მიმწოდებელის" მიერ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, ობიექტმა სწორი ექსპლუატაციის პირობებში დეფექტები არ უნდა გამოავლინოს მისი მიღებიდან მინიმუმ 4 წლის განმავლობაში.

2. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა

სატენდერო ობიექტის სამუშაო ადგილის გამოყოფა შემსყიდველის მოვალეობაა;
მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;
მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;
- სამუშაოების წარმოების პროცესში მუშა-მოსამსახურეები უზრუნველყოს სპეციალური სამუშაო უნიფორმით, წარწერით: „ძველი თბილისის რაიონის გამგეობა";
- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი თავისი ძალებით და სახსრებით სამი თვის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

3. სამუშაოთა შესრულების წესი

შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალებულია ჩაატაროს თავის ან შემსყიდველის მიერ მოწონებულ ლაბორატორიაში მასალების და კონსტრუქციების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება იმ სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არსებობს ხარისხის სერთიფიკატი ან პასპორტი.

მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

მომწოდებლების მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერტიფიკატი. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და სამშენებლო ნორმებს.

4. გეოდეზიური ზედამხედველობა

საჭიროების მიხედვით მიმწოდებელი თავისი ძალებით და სახსრებით ჩამოაყალიბებს მშენებარე ობიექტზე გეოდეზიურ ზედამხედველობას.

რთული გეოდეზიური გაზომვების შემთხვევაში, შემსყიდველის მითითებით, ეს სამუშაო გადაეცემა მის მიერ მოწონებულ სპეციალიზირებულ ფირმას ან პიროვნებას.

შერჩეულ ფირმასთან (პიროვნებასთან) ხელშეკრულების პირობები შესათანხმებელია შემსყიდველთან.

5. ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით;

6. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, მექანიზმების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

ტექზედამხედველი და შემსყიდველი ჟურნალში აღნიშნავენ თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებების და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია მათი აღმოფხვრის შესახებ.

7. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

საწარმოო ჟურნალში აღნიშნული და ადგილზე შემოწმებული მოცულობების ჩამონათვალის საფუძველზე ტექზედამხედველი და მიმწოდებელი დაადგენენ საჭირო ხარისხით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, რომელიც უნდა იქნეს შეტანილი საანგარიშო პერიოდის შესრულებული სამუშაოთა საგადასახადო ფორმებში.

8. სამუშაოთა საბოლოო მიღება

არაუგვიანეს 7 სამუშაო დღით ადრე მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ.

ტექზედამხედველი ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას დასრულების თაობაზე და დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.

თუ ტექზედამხედველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, სამუშაოთა დასრულების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შემსყიდველს დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

დავით [illegible]

ზაზა ხაჩიძე

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10 04 02/31/316 10 06 ხელშეკრულების საერთო პირობები

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობისა და მისი შესრულების მიმდინარეობაზე შემსყიდველის ან მისი წარმომადგენლის

92

მიერ კონტროლის საკითხები ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

4.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

5.1 მიმწოდებლი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბ-კონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

6. თანმდევი მომსახურება

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

6.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

8.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების ვალუტა

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

15.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა, თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო

ღირებულება აღემატება 1 000 000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

16.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

17.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

17.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

17.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. გამოყენებული სამართალი

20.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

22.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2 შეტყობინება 'შედის ძალა'ში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალა'ში 'შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

დავით [illegible]

ზაზა ხაჩიძე

სამუშაოების სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ №10 04 02/31/316
10 06
ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

„შემსყიდველი": ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, ს/კოდი: 204521776, მისამართი: ქ. თბილისი, 0105, გ. ლეონიძის ქ. №2, სს „ლიბერთი ბანკი"-ს ცენტრ. ფილიალი ა/ა №GE95LB0125152101627000 ბანკის კოდი: LBRTGE22.
„მიმწოდებელი": შპს „ლიკო", ს/კ 406035589, მდებარე: ქ. თბილისი, ვარკეთილი IIIა მ/რ-ნი, კორპ. №335, ბ.169, ს.ს. „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრ. ფილიალი. ა/ა №GE24BG0000000272582600, ბანკის კოდი BAGAGE22.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (3)

ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი: გამგებლის მოადგილე – ბესარიონ ჯიმშელაძე, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი – ლევან სოხაძე, ინფრასტრუქტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტები – პაველ სამსონაშვილი, კობა შუბითიძე და გიორგი ქოჩლაძე.

3. სამუშაოს შესრულების პირობები (4)

3.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია მუდმივ მზადყოფნაში იყოლიოს 5 ბრიგადა, აქედან, 1 ბრიგადა – საწვიმარი ძაბრების მოსაწყობად;
3.2. სამუშაოების განხორციელება მოხდება ეტაპობრივად შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადაცემული ობიექტების ჩამონათვალისა (შეკვეთა) და ვადების შესაბამისად.
3.3. შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი (შეკვეთა) მიმწოდებელს გადაეცემა წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება ობიექტების მისამართები და სამუშაოს შესრულების ვადები.
3.4. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები არ გამოაჟღენს დეფექტს მინიმუმ 4 წლის განმავლობაში, მისი სწორი ექსპლუატაციის პირობებში;
3.5. თუ ამ საგარანტიო პერიოდში შესყიდვის ობიექტს აღმოაჩნდება რაიმე დეფექტი, „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას უსასყიდლოდ მოახდინოს დეფექტის გასწორება „შემსყიდველის" მიერ მითითებულ ვადებში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი (7)

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად. „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების ფორმა №2.
4.2. ობიექტის საბოლოო შემოწმება და მიღება-ჩაბარება მოხდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
4.3. „შემსყიდველის" წარმომადგენლების მიერ ობიექტის მიმდინარე ან/და საბოლოო შემოწმებისას ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის

მიღება-ჩაბარებაზე და მოთხოვოს „მიმწოდებელს“ არსებული დეფექტების გამოსწორება.

4.4. მიმწოდებელს 4.3 პუნქტში მითითებული გარემოებების შესახებ ეცნობება წერილობით.

5. ანგარიშსწორება (8)

1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: <u>უნაღდო</u>
2. ანგარიშსწორების ვადა: <u>ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ორმხრივ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ, სამუშაოს შესრულებიდან ათი დღის ვადაში.</u>
3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს, შემდეგი დოკუმენტები: <u>შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშ-ფაქტურა.</u>
4. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს „შემსყიდველის“ მიერ შეკვეთაში განსაზღვრულ ვადებს ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

6. ფასები (10)

ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (15)

7.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება „შემსყიდველს“ ან მესამე პირს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

7.2. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი „მიმწოდებლის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოყენებულია <u>გარანტირების</u> მექანიზმის შემდეგი სახე: <u>საბანკო გარანტია</u>. გარანტია ძალაში უნდა იყოს <u>2010 წლის 31 დეკემბრამდე.</u> გარანტიის დაუბრუნებლობა შეიძლება გამოიწვიოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების არასრულად შესრულებამ, თუ ამ მიზეზით „შემსყიდველის“ ან მესამე პირის მიერ მიღებული ზარალი აღემატება გარანტიით წარმოდგენილ თანხას. ხოლო, თუ „შემსყიდველის“ ან მესამე პირის მიერ მიღებული ზარალი იქნება გარანტიით წარმოდგენილ თანხაზე ნაკლები, ამ შემთხვევაში მიყენებული ზარალი დაიფარება საგარანტიო თანხიდან, დანარჩენი დაუბრუნდება „მიმწოდებელს“. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება „მიმწოდებლისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზებით, „შემსყიდველი“ უზრუნველყოფს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნებას.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (16)

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით. ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენად ჩაითვლება სპეც. პირობების მე-3 მუხლის 3.3. პუნქტში მითითებული შესრულების ვადების გადაცილებაც. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებლის" მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება სატენდერო წინადადებაში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად ჩაითვლება სპეც. პირობების მე-3 მუხლის 3.3. პუნქტში განსაზღვრულ ობიექტებზე სამუშაოების შეუსრულებლობა. ამ შემთხვევაში, „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 10 პროცენტის ოდენობით;

8.3. თუ შესრულებული სამუშაოს ხარისხი არ შეესაბამება მოთხოვნას, „მიმწოდებელი" ვალდებულია უსასყიდლოდ მოახდინოს ნაკლის გამოსწორება. თუ იგივე ფაქტი განმეორდება, „მიმწოდებელს" ნაკლის გამოსწორებასთან ერთად ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ფასის 0,5 პროცენტის ოდენობით. მესამედ იგივე შემთხვევა იწვევს „მიმწოდებელის" დაჯარიმებას ხელშეკრულების ფასის 2 პროცენტის ოდენობით. ამასთან, „შემსყიდველი" უფლებამოსილია, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, უარი განაცხადოს სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე.

„შემსყიდველი"

დავით ფალიანი

„მიმწოდებელი"

ზაზა ხაჩიძე

შესრულების საბანკო გარანტია №PE22071/10

თბილისი

13 დეკემბერი 2010 წელი

გარანტი: სს "საქართველოს ბანკი"
მიმწოდებელი: შპს "ლიკო" (ს/კ 406035589)
ბენეფიციარი: ძველი თბილისის რაიონის გამგეობა
საგარანტიო თანხა: 400 (ოთხასი) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ **შპს "ლიკო"-მ (ს/კ 406035589)**, (შემდგომში "მიმწოდებელი"), **ქ. თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების თუნუქის სახურავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების მიზნით** წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ სს "საქართველოს ბანკი", თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

400 (ოთხასი) ლარი

და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე. მოთხოვნაში განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული მიმწოდებლის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; საბანკო გარანტიის ასლი და წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში თუ ადგილი აქვს ანგარიშსწორებას, განხორციელებული ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც დგინდება, რომ მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ანგარიშსწორება ბენეფიციარის მხრიდან განხორციელდა ან/და ხორციელდება მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში" მიმწოდებლის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2011 წლის 31 იანვრისა (31 იანვრის ჩათვლით).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნულ თარიღამდე შემდეგ მისამართზე: სს "საქართველოს ბანკი", სათაო ოფისი, პუშკინის ქ. №3, თბილისი 0105, საქართველო.
საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ე. ჩხეიძე

გარანტიების სამსახურის უფროსი

38